საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზატიკი

ზატიკი, 1. დღესასწაული, დაკავშირებული ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლის ფაქტთან. 2. ქართ. სინამდვილეში – აღდგომის დღესასწაული; აგრეთვე, აღდგომის პერიოდის საგალობლების შემცველი წიგნი; გაგრძელება დიდი მარხვის პერიოდის საგალობლებისა – მარხვანისა. ჰიმნოგრაფიასა და ლიტურგიკაში ზ. დამკვიდრდა XI ს-იდან. მანამდე მარხვანი და ზ. გაერთიანებული იყო ერთ წიგნში, რ-საც ხვედრნი ეწოდებოდა. კ. კეკელიძის აზრით, ტერმინი ზ. წარმოდგება „აზატისაგან", რაც თავისუფალ დღეს, ე. ი. დღესასწაულს ნიშნავს. ზ. მოიცავდა აღდგომის პერიოდის მთავარი დღესასწაულების (აღდგომა, ამაღლება, მარტვილია, რ-ებიც მორწმუნეთა შეგნებაში ერთ მთლიან, განუწყვეტელ დღესასწაულად აღიქმებოდა) ჰიმნებს.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

შ. ონიანი